შ.პ.ს."პეტრო დია გლობალ ქომპანი" ს/კ 439412869
საქართველო, საჩხერის რაიონი, სოფელი დუნთა
დირექტორი: ამირ ჰოსსეინ ჰამზე, ირანი
ელ.ფოსტა: ah.pDgco@gmail.com
ტ. 599 68-50-90

საქართველოს გარემოს დაცვის და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

თქვენი 2018 წლის 13 დეკემბრის #10929/01 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სარეცხი საშუალებების წარმოებისათვის საჭირო პირველადი ნედლეულის იმპორტი განხორციელდება 220 ლიტრიანი ჭურჭლებით, პოლიეთილენის ფხვნილის (გრანულები), იმპორტი, რომლის შესაბამისი სასაქონლო ნომენკლატურის კოდია 39012090 მოხდება 25 კილოგრამიანი პარკებით, ასეთივე წონის პარკებით შემოვიტანთ სოდას. ეთერზეთებსა და საღებავებს შემოვიტანთ 20 კილოგრამიან ჭურჭელში.

ყოველივე ზემოაღნიშნული განთავსდება ხის თაროებზე შესაბამის ტემპერატურულ გარემოში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული და დაიწყოთ პროცედურა სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

პატივისცემით,

შ.პ.ს."პეტრო დია გლობალ ქომპანი"-ს დირექტორი: /ამირ ჰოსსეინ ჰამზე/

PDGCo
439412869
Petro Dia Global Company LLC

№2638
20 02 2019
1 ფ.

შ.პ.ს."პეტრო დია გლობალ ქომპანი" ს/კ 439412869

საქართველო, საჩხერის რაიონი, სოფელი დუნთა

დირექტორი: ამირ ჰოსსეინ ჰამზე, ირანი

ელ.ფოსტა: ah.pDgco@gmail.com

ტ. 599 68-50-90.

საქართველოს გარემოს დაცვის და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ **შეზღუდული პასუხისმგებლოვის საზოგადოება „პეტრო დია გლობალ ქომპანი", ქ. თბილისში, სამგორის რაიონი, ორხევის დასახლება, ახვლედიანის ქუჩის მარჯვენა მხარეს, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.19.16.002.018**, გეგმავს სარეცხი საშუალებების წარმოებას. **დაგეგმილი საქმიანობის განთავსების ტერიტორიის** GPS კოორდინატებია: X=494160.00; Y=4615630.00):

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად **შეზღუდული პასუხისმგებლოვის საზოგადოება „პეტრო დია გლობალ ქომპანი"-ს** მიერ **სარეცხი საშუალებების წარმოების დაგეგმილ საქმიანობასთან** დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

როგორც უკვე აღინიშნა საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს **ქ. თბილისში, სამგორის რაიონი, ორხევის დასახლება, ახვლედიანის ქუჩის მარჯვენა მხარეს, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.19.16.002.018, რომელიც წარმოადგენს სამრეწვლო ზონას.** აღნიშნული ტერიტორია თავისი შენობა-ნაგებობებით წარმოადგენს შპს „საშა"-ს (ID კოდი:204898245) საკუთრებას და იჯარით იქნება აღებული საწარმოს მიერ.

უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულიიქნება 180 მეტრი მანძილით.

აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისათვის არ იგეგმება რაიმე შენობა-ნაგებობის მშენებლობა, გამოყენებული იქნება უკვე არსებული შენობა და მასში განთავსდება საწარმოსათვის საჭირო დანადგარები.

სარეცხი საშუალებების წარმოება შედგება ორი ნაწილისგან

1-პოლიმერული ნაწილი: გამოიყენება პოლიეთილენი, დანამატები, საღებავი, სუპერკონცენტრატები და ბლოსერი (დანადგარი,რომლითაც იბერება ბოთლები)

2 - სარეცხი საშუალებების წარმოება: ამ დროს ხდება ქიმიური ნივთიერებების შერევა და ნეიტრალიზაცია, რასაც ემატება წყალი, საღებავი, პარფიუმერია, ეთერზეთები და ვღებულობთ სხვადასხვა სარეცხ საშუალებას. ამ დროს გამოიყენება დიონიზირებული წყალი, რომელიც წყლის გამწმენდი დანადგარით მიიღება.

<u>**წარმოების ეტაპების აღწერილობა:**</u>

ა) ბოთლების წარმოება

საჭირო ნივთიერებები:

1 - მსუბუქი პოლიეთილენი

№ 15120
"26" 11 2018
4/3 ფ.
03

2 - ფერადი კონცენტრატები

3 - საჭირო დანამატები

4 - პოლიეთილენის ფხვნილი

მანქანა დანადგარები:

1 - ჩამოსხმისა და ფორმის მიმცემი დანადგარი ბოთლის წარმოებისათვის.

2 - ბლოსერები ბოთლის წარმოებისათვის

3 - საფქვავი მანქანა

პოლიმერის ნივთიერება ფორმულის შესაბამისად ერთმანეთს შეერევა მერე შედის ბლოსერში, რომელიც ამ ნივთიერებას ადნობს და ყალიბის ჩამოსასხმელ ნაწილში უშვებს, სადაც ჰაერის დაწოლით ბოთლები ყალიბის შესაბამის ფორმას იღებენ. შემდეგ ბოთლები ცივდება და ყალიბიდან გამოდის.

ბ) სარეცხი საშუალებების წარმოება

საჭირო დანადგარები:

1. სხვადასხვა მოცულობის ტანკერები პირველადი პროდუქტის შესანახად;

2. წყლის გამწმენდი სადეზინფექციო დანადგარი;

3. სპეციალური მიქსერი სულფონური მჟავის გასანაიტრალებლად;

4. ნივთიერებების დასათვლელი და ასაწონი მოწყობილობა;

5. ძირითადი მიქსერი საჭირო რაოდენობის საბოლოო პროდუქტების წარმოებისათვის;

6. გაყვანილობები, ნასოსები, ცენტრალური გათბობის სისტემა;

7. ჭურჭლის ასავსები და ეტიკეტის დამკვრელი მოწყობილობა;

8. ბოთლების შემკვრელი.

<u>**წარმოების პროცესი:**</u>

1. სულფონილ მჟავა აიწონება და მთავარი მიქსერისაკენ გაედინება;

2. კაუსტიკური სოდა, რომელიც მანამდე საჭირო კონცენტრატამდე არის მისული ნელა ნელა ემატება მჟავას და მიმდინარეობს ნეიტრალიზაცია რასაც გარკვეული დრო სჭირდება;

3. ნეიტრალიზაციისა და საჭირო ph-ის მიღწევის მერე ემატება წყალი;

4. ემეტება აგრეთვე სხვა საჭირო ნივთიერებები;

5. მიიღება საჭირო პროდუქტი;

6. მიღებული პროდუქტი ნასოსის საშუალებით ტანკერებისაკენ მიედინება, რომელიც მიერთებულია ბოთლების ამავსებელ დანადგართან;

7. ივსება ბოთლები და გარეცხვის მერე ეკვრება ეტიკეტი.

საწარმოო სიმძლავრე დღეში შეადგენს 10 ტონა თხევადი სარეცხი საშუალებების წარმოება.

უნდა ავღნიშნოთ, რომ წარმოების პროცესში არანაირი ნარჩენებისწარმოქმნას ადგილი არ აქვს. ტანკერების გასარეცხი წყალიც გარეცხვის შემდეგ ინახება ჭურჭელში და თავიდან ბრუნდება წარმოებაში. გამოუყენებელი ან გაფუჭებული ზოთლები ქუცმაცდება იფქვევა და ერევა პირველად პროდუქტს შემდგომი გამოყენების მიზნით.

ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

ნაკვეთის ტერიტორიაზე წითელი წიგნის ნუსხაში რაიმე სახის ხე-ნარგავები არ არსებობს.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: პოლიმერული მტვერი, ნახშირჟანგი, ბმარმჟავა.

საწარმოო მიზნებისათვის წყალი გამოიყენება თხევადი სარეცხი საშუალებების წარმოების პროცესში რომლის ხარჯი შეადგენს 7 ტონას დღეში. რაც შეეხება ტანკერების გარეცხვისას გამოყენებული წყალი ის კვლავწარმოებაში გამოიყენება.

საყოფაცხოვრებო და საწარმოო მიზნებისათვის წყლის მომარაგება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო ფეკალური წყლების ჩაშვება ხორციელდება ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაში.

რადგან საწარმოში მთელი პროცესში მიმდინარეობს დახურულ შენობაში ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

საწარმოს მთლიანი ტერიტორიაზე პრაქტიკულად არ ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენ სამრეწველო ზონას.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან მისი ტერიტორია განთავსებულია საცხოვრებელი ზონიდან- 180 მეტრის დაცილებით, მთლიანად მთელი პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში და თვით საწარმოო პროცესში წარმოქმნილი ხმაურის დონე არ გადააჭარბებს 70 დეციბელს.

საწარმოში ძირითადად დასაქმებულია 8 ადამიანი, რომლებიჩ ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეიბის ძეგლის არსებობის ნიშნები არ ფიქსირდება, ტერიტორიაზე რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში მეწარმე ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

საწარმოს ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული.

საწარმოს ფუნქციონირების პერიოდში კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან ანალოგიური ტიპის საწარმოები აღნიშნული ტერიტორიის სიახლოვეს არ არის.

საწარმოო პროცესში საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია მხოლოდ წუნდებული პოლიეთილენის ჭურჭლის სახით, რომელიც კვლავწარმოებაში ბრუნდება.

საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენებისათვის განკუთვნილი ბუნკერი გათავსებულია საწარმოს ტერიტორიაზე, რომლიც გაიტანება პერიოდულად შესაბამისი სამსახურების მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს საწარმოო ტერიტორიაზე რაიმე სახის ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში ნივთიერებების შენახვას. ნაკვეთის მომიჯნავე ტერიტორიები არ არის წარმოდგენილი ხშირი ტყით დაფარული ტერიტორიები (საერთოდ არ არსებობს), სადაც ხანძარი შეიძლება სწრაფად გავრცელდეს. ყოველივე აქედან გამომდინარე მაშტაბური სიდიდის ავარიის ან/და კატასტროფების რისკები მოსალოდნელი არ არის. სახანძრო უსაფრთხოებიშ მიზნით დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცეცხლმაქრებით.

საქმიანობის პროცესში ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოიყენებს მცირე ტონაჟიანი საავტომობილო ტრანსპორტს. აღნიშნულის გათვალისწინებით აგრეთვე არ არის მოსალოდნელი მიმდებარე შიდა გზების ან საავტომობილო მაგისტრალის სატრანსპორტო ნაკადის გადატვირთვა.

საქმიანობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში, ასევე მის სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენან მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი.

საქმიანობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში არ არსებობს საქართველოს კანონით დასაერთაშორისო კონვეციით დაცული ტერიტორიები. დაცულ ტერიტორიებზე რაიმე სახით ზემოქმედები პრაქტიკულად გამორიცხულია.

საქმიანობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის სიახლოვეს რაიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ გვხდება, არც ლიტერატურული წყაროებით არ არის აღწერილი. აქედან გამომდინარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე რაიმე სახით ზემოქმედები პრაქტიკულად გამორიცხულია.

საქმიანობის სპეციპიკის, მაშტაბისა და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

პატივისცემით,

შ.პ.ს."პეტრო დია გლობალ ქომპანი"-ს დირექტორი: /ამირ ჰოსსეინ ჰამზე/

დანართი:

თხევადი სარეცხი საშუალებების წარმოების დანადგარების სურათები



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.19.16.002.018

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 892018426293 - 18/05/2018 17:36:59	23/05/2018 11:43:33

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	სამგორი		
01	19	16	002/018

მისამართი: ქალაქი თბილისი , დასახლება ორხევი , ახალდაბის ქუჩის მარჯვენა მხარეს, (ნაკვ. 02/018)

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 11293.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 2;

შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 2259.00
უძრ. ქონ. ლოკ.-ის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N6, N7

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 012007015399 , თარიღი 12/02/2007
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/02/2007

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება N1-162 , დამოწმების თარიღი:03/06/1998 ,ნოტარიუსი გ. მახარაძე
- სანოტარო აქტი ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა N1-698 , დამოწმების თარიღი:07/02/2007 ,ნოტარიუსი გ. მახარაძე

მესაკუთრეები:
შპს "სამი" , ID ნომერი:204898245

მესაკუთრე:
შპს "სამი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

საკადასტრო გეგმა

[illegible]: 1:1000

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
თბილისის სარეგისტრაციო სამსახური

[illegible]:

[illegible] № 1 / 19 / 16 / 2/18

ზონა / სექტორი / კვარტალი / ნაკვეთი

თბილისი / სამგორი

[illegible]: ორხევის დასახლება, ახალგორის ქუჩის მარჯვენა მხარეს

[illegible]: 14.02.2007წ.

[illegible]: 1293 კვ.მ

ბეჭედი



№15399-07